კატო მიქელაძე

და ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა

თამთა მელაშვილი

ქართული სუფრაჟიზმის სათავეებთან

საქართველოში, როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლა განათლების უფლების მოთხოვნით დაიწყო, რაც მოგვიანებით პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. 1910-იანი წლებიდან ჩვენთანაც გაძლიერდა სუფრაჟისტული მოძრაობა – ქალებმა ამჯერად პოლიტიკური უფლებების მოთხოვნა დაიწყეს. საქართველოში ამ ბრძოლას სათავეში ედგა ფემინისტი და პუბლიცისტი კატო მიქელაძე, რომელიც, განათლებასთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სუფრაჟისტულ ბრძოლას და ქალთა პოლიტიკური გააქტიურების თავდადებული მომხრე იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის სამმა წელმა სუფრაჟისტული ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერა. მიქელაძეს მიაჩნდა, რომ საქართველოს გათავისუფლებასთან ერთად ქართველი ქალის გათავისუფლებაც უნდა მომხდარიყო, ქალებს პოლიტიკურ და სამოქალაქო ასპარზზე გამოსვლის მეტი საშუალება უნდა მისცემოდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტრუქტურული და კულტურული ბარიერები ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ქალებს პირველი რესპუბლიკის პირობებშიც დიდი ძალისხმევა და ბრძოლა სჭირდებოდათ საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

კატო მიქელაძის შეხედულებები ქალთა პოლიტიკურ და სხვა უფლებებზე მჭიდროდ უკავშირდებოდა და ნათლად ასახავდა მაშინდელი საერთაშორისო ფემინისტური მოძრაობის იდეებს, თუმცა ქართველი ფემინისტი იმავდროულად ითვალისწინებდა ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტს და ამ პოზიციიდან აკრიტიკებდა პატრიარქალურ სისტემას, ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებას, მამაკაცთა პრივილეგიებს და ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას. ის აქტიურად მოუწოდებდა ქალებს გაერთიანებისკენ:



ქალბო! სთქვით სიტყვა მოქალაქისა და თავისუფალი ადამიანისა! ებრძოლეთ ადამიანის ჯირკოვნების გამთელავ მოვლენას და ყველაზე მეტად თქვენ საკუთარ გაჭირვებას, შეერთდით! შეერთდით თავმოსავერებლად, შეერთდით თავისუფლების დასაცავად, შეერთდით ორგანიზაციულად! დააარსეთ საკუთარი კავშირები, ეშზადეთ დამეუბნებული კრებისათვის.. ეცადეთ თავად იყოთ არჩეული, თვით იყოთ ჭეშმარიტი მეკობრები თავისუფლებისა და დამცველი სამართლიანობისა! მოითხოვეთ გამოსვლა საზოგადო ასპარეზზე, ჩაებით საზოგადო ორგანიზაციების საქმეში!.. კმარა ძილი! კმარა უმოქმედობა!

ტერმინი **სუფრაჟიზმი** მოდის ინგლისური სიტყვიდან suffrage და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ნიშნავს. სუფრაჟიზმი ეწოდება ქალთა მოძრაობას, რომლის მიზანია ქალებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება და თანაბარი სამოქალაქო უფლებები. ქალთა სუფრაჟისტული მოძრაობა საფრანგეთში ჩამოყალიბდა XVIII ს-ის 80-90-იან წლებში, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდში. იმ დროს ფრანგი მწერალი ოლემპ დე გუჟი მოითხოვდა ქალთათვის ნაციონალურ არჩევნებში საარჩევნო ხმის უფლების მინიჭებას, თუმცა მისმა მოთხოვნამ მაშინ შედეგი არ გამოიღო. აშშ-ში სუფრაჟისტული მოძრაობა XVII ს-ის 40-იან წლებში დაიწყო და მისი ფუძემდებლები იყვნენ ელიზაბეტ კედი სტენტონი და ლუკრეცია მოტი. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის რამდენიმე შტატში ქალებს ჰქონდათ ხმის მიცემის უფლება, სუფრაჟისტულმა მოძრაობამ პირველ მნიშვნელოვან გამარჯვებას 1893 წელს მიაღწია, როდესაც ახალ ზელანდიაში ზრდასრულ ქალებს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება კონსტიტუციურად მიენიჭათ. პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც ქალებს ხმის მიცემის უფლება მისცა, იყო ფინეთი 1906 წელს. საქართველოში ქალებმა ეს უფლება 1918 წელს მიიღეს. 1948 წელს გაეროს მიერ მიღებულ „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაში“ შევიდა მუხლი, რომელიც ამტკიცებს, რომ ყველას, განურჩევლად სქესისა, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

კატო მიქელაძის ცხოვრების გზა

კატო მიქელაძე
(1878-1942)

კატო მიქელაძე დაიბადა 1877 წელს ქუთაისის მაზრაში, სოფელ კულაშში. გოგონას დედა ადრე გარდაეცვალა და მასზე ზრუნვა ნათლიამ – ბარბარე გაბუნიამ იკისრა. ნათლიის ინიციატივით დაიწყო სწავლა კატომ ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში, თუმცა 4 კლასის დამთავრების შემდეგ იძულებული გახდა სწავლა მიეტოვებინა. გოგონას ძალიან უნდოდა სრულყოფილი განათლების მიღება და დამოუკიდებლად ცხოვრება, მაგრამ საამისოდ ხელს არაფერი უწყობდა. რადგან სწავლის გაგრძელების სხვა საშუალება არ ჰქონდა, კატო თბილისში სამეანო კურსებზე შევიდა და მალე მუშაობაც დაიწყო.

მიქელაძე 1900 წლიდან უკვე ბეჭდავდა ლექსებს, ძირითადად, არალეგალურ პრესაში, მალე რევოლუციურ საქმიანობაშიც ჩაება, თუმცა სწავლის წყურვილი მასში არ გამქრალა. მოგვიანებით, კატო პედაგოგიურ კურსებზე ჩაეწერა და 1905 წელს ჯერ მოსკოვში, შემდეგ კი ევროპაში გაემგზავრა. მოგონებებში ის პარიზში გატარებულ წლებს საუკეთესო პერიოდად იხსენებს. აქ გაიცნო აკაკი წერეთელიც. პოეტი პარიზში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს შეხვდა. შეხვედრაზე სტუდენტების სახელით სიტყვით კატო გამოვიდა. აკაკიმ განსაკუთრებულად შეაქო მიქელაძე მისი ორატორული ნიჭის გამო. კატო მიქელაძის არაჩვეულებრივ ორატორულ უნარს ბევრი მისი თანამედროვეც აღნიშნავდა.

1910 წლიდან კატო ჩაირიცხა ბრიუსელში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც ხელმოკლედ, მეცენატების გაღებული სტიპენდიით ცხოვრობდა. კატომ იქ გაიცნო საფუძვლიანად მაშინდელი აქტუალური თეორიული მიმდინარეობები და განსაკუთრებით მარქსიზმითა და ფემინიზმით დაინტერესდა. სწავლის დასრულების შემდეგ ქუთაისში დაბრუნდა, სადაც მაშინვე წამოიწყო ფემინისტური მოქმედება და თანამოაზრეების შემოკრება. 1916 წლიდან კატო უკვე კითხულობდა საჯარო ლექციებს ქალთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე, დააარსა ქალთა პოლიტიკური კლუბი, მომდევნო წელს კი მისი რედაქტორობით საქართველოში პირველი ფემინისტური გაზეთი – „ხმა ქართველი ქალისა“ – გამოიცა.

აკაკი წერეთელი
(1840-1915)

„ხმა ქართველი ქალისა“ – ფემინიზმის ხმა საქართველოში

ყოველკვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“ გამოდიოდა1917-1918 წლებში. გაზეთი იყო ღიად ფემინისტური და არც ერთ მაშინდელ პარტიას არ ემხრობოდა. მიქელაძე მიიჩნევდა, რომ იმ პირობებში შეუძლებელი იყო ქალთა საკითხები ერთი რომელიმე კონკრეტული პარტიით ან მისი პროგრამით შემოფარგლულიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მთლიანად კაცებისგან შემდგარ პარტიებს ეხებოდა. მიქელაძის განცხადებით, არსებობდა „სპეციალური დედაკაცური ინტერესი“, რომლის რეალურ ცხოვრებაში გატარება ქალების სოციალური და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებით მოხდებოდა. გაზეთი ქალებს მოუწოდებდა ძალისხმევა მიემართათ „სწორუფლიანობის“ მისაღწევად, ამისთვის კი ქალთა გაერთიანება იყო საჭირო.

„ხმა ქართველი ქალისა“ მრავლფეროვანი იყო თავისი შინაარსით და აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს – გვთავაზობდა მაშინდელი, ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი, პროცესების ფემინისტურ ხედვას, მათ შორის, პირველ რიგში, იმ მოვლენებისას, რომლებიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში მიმდინარეობდა. პუბლიცისტიკასთან ერთად გაზეთში ასევე იბეჭდებოდა მხატვრული ტექსტები, რომელიც შინაარსით ასევე ფემინისტური იყო და ქალთა მდგომარეობას ასახავდა. გაზეთთან თანამშრომლობდნენ ქალი მწერლები: საფო მგელაძე, მარიამ გარიყული, დომინიკა ერისთავი, ეკატერინე გაბაშვილი.

„ხმა ქართველი ქალისა“ ასახავდა მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებსაც – ევროპულ და ამერიკულ სუფრაჟისტულ მოძრაობას, ქალთა რევოლუციურ აქტივიზმს რუსეთში და ა.შ. აქ ნახავდით სხვადასხვანაირ რუბრიკას, ახალი ამბების განყოფილებას, საავტორო სვეტებს, თარგმანებს. გაზეთი პოპულარული იყო და ბევრ ქალაქში ვრცელდებოდა. მკითხველიც აქტიურად თანამშრომლობდა რედაქციასთან, რომელიც წერილებს იღებდა სამტრედიიდან, ბათუმიდან, გორიდან, ჭიათურიდან.

„ხმა ქართველი ქალისა“ ძირითადად შემოწირულობებით არსებობდა. რედაქცია ყოველთვის გამოხატავდა მადლიერებას შემომწირველთა მიმართ და მათ სიებს აქვეყნებდა. შემომწირველები, ძირითადად, ქალები იყვნენ, რომლებიც მაშინდელ მძიმე ეკონომიკურ პირობებში მცირედით, მაგრამ თავდადებით ეხმარებოდნენ გაზეთს, გულშემატკივრობდნენ და მხარს უჭერდნენ.

„ხმა ქართველი ქალისას“ თავისი არსებობის მანძილზე ბევრი წინააღმდეგობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ კატო მიქელაძე ბოლომდე იბრძოდა მის შესანარჩუნებლად, ბევრი იდეოლოგიური თუ ტექნიკური ბარიერის გამო გაზეთი 1918 წელს დაიხურა. მთლიანობაში გამოვიდა მისი 50 ნომერი. 1917 წელს – 32, 1918 წელს კი – 18.

საფო მგელაძე (1894-1936)

მარიამ გარიყული
(1883-1960)

ეკატერინე გაბაშვილი
(1851-1938)

ქუთაისის ქალთა პოლიტიკური კლუბი

კატო მიქელაძეს საფუძვლიანად ჰქონდა გააზრებული ის ძირითადი საკითხები, რისი საშუალებითაც საქართველოში ქალთა ემანსიპაცია და, როგორც თავად ამბობდა, „სწორუფლიანობის“ მიღწევა გახდებოდა შესაძლებელი. პირველ რიგში, იგი მოითხოვდა კანონით დაცულ და განმტკიცებულ თანასწორობას, აქტიურად ლობირებდა ქალთა პოლიტიკაში ჩართვას მათი პოლიტიკური უფლების ხაზგასმით – აერჩიათ და ყოფილიყვნენ არჩეული. მიიჩნევდა, რომ ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა, რომელსაც წინ ბევრი ბარიერი ეღობებოდა, სახელმწიფოს უნდა წაეხალისებინა. ქალთა პოლიტიკური გააქტიურებისთვის მან კონკრეტული ნაბიჯები გადადგა – 1916 წელს ქუთაისის ქალთა საერთო პოლიტიკური კლუბი დაარსა, რომელიც მოგვიანებით ქალთა ინტერპარტიულ ლიგად გადაკეთდა. კლუბი ერთგვარ „საამქროდ“ უნდა ქცეულიყო, რომელიც ქალებს პოლიტიკაში მოსასვლელად გზას გაუხსნიდა და კარიერისთვის მოამზადებდა. პოლიტიკურ კლუბს და ინტერპარტიულ ლიგას ჰქონდათ პროგრამები, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა საუკუნის წინ დაწერილი გენდერული თანასწორობის კანონი.



„ხმა ქართველი ქალისას“ პირველივე ნომერი მკითხველს ქუთაისის ქალთა კლუბის წესდებას სთავაზობდა, სადაც ნათლად იყო განსაზღვრული კლუბის პოლიტიკური მისია და ხედვა:



ვლებულობთ რა მხედველობაში, დედრობითი სქესის უუფლებო მდგომარეობით გამოწვეულს დამღუპველ გავლენას, როგორც ოჯახისთვის, ისე საზოგადოებისთვის და მოდგმისთვის, ქუთაისის საერთო ქალთა პოლიტიკური კლუბი თავის მიზნათ ისახავს ორთავე სქესის პიროვნულათ სრულს გათანასწორებას კანონისა და სამართლის წინაშე. ქალთა პოლიტიკური და მოქალაქური უფლების აღსადგენათ და ამ უფლების პრაქტიკულ ცხოვრებაში გასატარებლათ ქუთაისის ქალთა კლუბი უკეთეს საშუალებათ რაცხავს თანამოაზრეთა ორგანიზაციულ შეერთებას

კლუბიც და, მოგვიანებით, ლიგაც მნიშვნელოვნად მიიჩნევდა იმ საკითხებს, რომელთა უმეტესობა დღესაც აქტუალურია, მათ შორის: თანაბარ პოლიტიკურ მონაწილეობას მმართველობის ყველა დონეზე, თანაბარ ანაზღაურებას თანაბარი შრომისათვის, მამაკაცის სასარგებლოდ არსებული „სამემკვიდრეო პრივილეგიების“ გაუქმებას, არსებული კანონმდებლობის გადასინჯვას ქალთა ინტერესების და საჭიროების გათვალისწინებით და ა.შ.

გასაბჭოების შემდეგ

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან ერთად, რომელმაც მოსპო ყველა სახის სამოქალაქო ინიციატივა და აქტივიზმი, მიქელაძე მეტ წნეხსა და ჩარჩოებში მოექცა. მით უმეტეს, მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ქალთა საკითხის მოგვარება საკუთარ თავზე აიღო და ამ კუთხით მიმართული ყველა საქმიანობა ერთპიროვნულ სახელმწიფო მმართველობას დაუქვემდებარა. „1921 წლიდან მე ხელოვნურად დამამუნჯეს“, – წერდა კატო მიქელაძე. ქართველი ფემინისტის ეს სიტყვები კარგად გადმოსცემს იმ მდგომარეობას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება მაშინდელ საზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტიურ ადამიანებს მიზანმიმართულად უქმნიდა.

დომინიკა ერისთავი (1864-1929)

კატო მიქელაძე

საბჭოთა ხელისუფლებამ მიქელაძე, როგორც ფემინისტი და აქტივისტი, სრულიად უარყო, „ხმა ქართველი ქალისა“ კი კატოს სიცოცხლეშივე მიეცა დავიწყებას. 1920-იანი წლებიდან კატომ ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი, თუმცა საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური წნეხის პირობებში მას, როგორც მწერალსაც, არანაირი გასაქანი არ ჰქონია. ჯანმრთელობაშერყეული მიქელაძე 1943 წელს გარდაიცვალა.

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, კატო ცხოვრების ბოლომდე ფემინისტური ღირებულებების ერთგულ და თავდადებულ დამცველად დარჩა. 1930-იან წლებში, უკიდურესი რეპრესიების ხანაშიც კი, ის არ წყვეტდა თანამოაზრეების ძიებას, მხარს უჭერდა მწერალთა კავშირში ახალგაზრდა ქალების გააქტიურებას და მათ წინ წამოწევას ცდილობდა.

კატო მიქელაძე თავისი მებრძოლი სულისკვეთებით დღესაც ბევრი ქალისთვისაა ინსპირაციის წყარო, ვინც სამართლიანობისთვის, ღირსეულად ცხოვრებისა და უკეთესი მომავლისთვის იბრძვის. მისი იდეები კი მყარი ნიადაგია ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლის გასაძლიერებლად, რაც დღეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე 100 წლის წინ იყო.

„არსებულ უსამართლობასთან საბრძოლველად საჭიროა ქალებისათვის არა მამაკაცების კუდში დევნა, არამედ თავიანთი ინდივიდუალურობის განვითარება, რომ პოულობდნენ სულიერ კმაყოფილებას თავიანთი პიროვნული სიმაღლით, რათა ორთავე სქესის აზროვნებისა და აქტიურობის განვითარებით შესაძლო იყოს იმ სიცარიელეს აღმოვსება, რომელიც ერთი სქესის გონებრივმა და სულიერმა მოქმედობამ წარმოშვა. და როდესაც ჩვენ უფლებებისათვის მებრძოლი ქალები მოვითხოვთ ეროვნულსა და მოქალაქეობრივ ყოველ უფლებას და ვებრძვით ქალთა ადამიანური უფლების მტრებს, ჩვენ ვებრძვით არა ადამიანს მამაკაცის სახით, არამედ იმ ტრადიციულ უსამართლობას, რომელიც მამაკაცთა უმრავლესობას შეუთვისებია და რომელსაც მიყავს ერის ნახევარი ნაწილი გონებრივ და სულიერ გამოფიტულობამდე. ჩვენ არ გვსურს ამ დუხჭირ მდგომარეობაში კვლავ დარჩენა და რაც არ უნდა მოხდეს, თავი უნდა განვითავისუფლოთ მისგან.

ბოლშევიკები თბილისში, 1921 წლის 25 თებერვალი

ხმა
ქართველი ქალისა
ქრისტე აღსდგა!



ჩვენ მოვითხოვთ სამართალს და არა შურისძიებას. ამ შემთხვევაში ჩვენ გვჭირია თითეული პატიოსანი და სამართლიანი მამაკაცის გაგება და თანაგრძნობა და არა იმის ყიჟინი, ვითომ სუფრაჟისტ ქალებს მამაკაცები გვძულდეს და მათგან გათიშვას მოვითხოვდეთ, როგორც ამას გაიძახიან ანტისუფრაჟისტების ამყოლი ბრბო. სუფრაჟისტ ქალებში არსებობენ მრავალი დედები, ცოლები, შვილები და დები მამაკაცებისა, რომელთ გულშიაც ბუდობს უკეთესი გრძნობა-სურვილები უკანასკნელთადმი, მაგრამ რომელთაც ამავე დროს არ ავიწყდებათ თავიანთი ადამიანური პიროვნებაც და მოითხოვენ მისთვის შესაფერ უფლებასაც. ჩვენ ვიცით, რისთვის ვიბრძვით და ვიცით აგრეთვე ფასი და მისწრაფება ჩვენი უფლების მტერთა, რომ მათმა ცილის წამებამ შეგვაკრთოს, რასთვისაც დაჟინებით მოვითხოვთ ქალთა კავშირის სიძლიერესა და სიმტკიცეს ქალთა თვით მოქმედებისა და აქტიურობის აღსადგენათ“.

გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, 1918, #32